



განრიდების პროგრამების
(განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის)
2017 წლის ანგარიში

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“
განრიდებისა და მედიაციის სამმართველო

თბილისი
2018

შინაარსი

შესავალი	3
ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ	4
2017 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები	7
პროგრამების შედეგები (სტატისტიკური მონაცემები).....	9
განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები	24

შესავალი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, როგორც განრიდების პროგრამების ზოგად მენეჯმენტზე პასუხისმგებელი უწყება, ყოველწლიურად, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთანამშრომლობით ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს განრიდების მექანიზმის გაძლიერების მიზნით. აღნიშნული აქტივობები მოიცავს როგორც საგანმანათლებლო ღონისძიებებს პროკურორების, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალური მუშაკების, მედიატორებისა და მოსამართლეებისათვის, ასევე სხვადასხვა სახის ანალიტიკურ საქმიანობას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და ანალიზს, უწყებათაშორის მონიტორინგის ღონისძიებებს, ჩართულ სპეციალისტებსა და ორგანიზაციებს შორის კოორდინაციის გაძლიერებას, საგრანტო პროექტების დაფინანსებას ბენეფიციართათვის სერვისების გაფართოების და არასამთავრობო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2017 წლის ანგარიშს და მასში წარმოდგენილია პროგრამის განვითარების შესახებ მოკლე ინფორმაცია, 2017 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები და განრიდების პროგრამების დეტალური სტატისტიკა.

ანგარიშში მოცემული ინფორმაცია საინტერესოა როგორც იურისტებისათვის, ასევე სოციალური სფეროს წარმომადგენლებისათვის, პედაგოგების, მკვლევარების, სტუდენტებისა და აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

ზოგადი ინფორმაცია პროგრამის განვითარების შესახებ

განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ 2012 წლიდან ახორციელებს. 2013 წლამდე, პროგრამა მოქმედებდა საპილოტე რეჟიმში და ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქები, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი - მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.

განრიდების პროგრამები 21 წელს მიუღწეველი პირისათვის წარმოადგენს ერთ შანსს, გარკვეული პირობების შესრულების სანაცვლოდ, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე, დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება და გადადგას ნაბიჯი წარმატებული მომავლისკენ. პროგრამა ეფექტური საშუალებაა 21 წელს მიუღწეველი პირისათვის მართლშეგნების ხელშეწყობის, მისი რესოციალიზაციისა და კანონსაწინააღმდეგო ქმედებით დაზარალებულ პირთა ინტერესების დაკმაყოფილების თვალსაზრისით.

განრიდება/განრიდება და მედიაცია ეყრდნობა აღდგენით მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს დამნაშავისა და დაზარალებულის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ 21 წელს მიუღწეველმა პირმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია არ დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და მის მიმართ გამოიყენოს განრიდების მექანიზმი. 21 წელს მიუღწეველი პირის განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ პროკურორი დაუკავშირდება პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც უზრუნველყოფს საქმის კონკრეტული სოციალური მუშაკისთვის დაწერას. სოციალური მუშაკი შეიმუშავებს განსარიდებლის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს, განრიდების სარეკომენდაციო ღონისძიებებს და ხელშეკრულების სარეკომენდაციო პირობებს. ანგარიშის საფუძველზე პროკურორი სოციალურ მუშაკთან, ხოლო მედიაციის შემთხვევაში - მედიატორთან ერთად განსაზღვრავს განრიდების ღონისძიებას და ხელშეკრულების პირობებს. პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი, სოციალური მუშაკი და მედიატორი ითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესს და მოქმედებენ განსარიდებლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. შესაბამისად, ხელშეკრულების პირობად აგრეთვე შეიძლება განისაზღვროს, ზიანის ანაზღაურება ან/და დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა საქმის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მას შემდეგ, რაც პროკურორი მიიღებს განრიდების გადაწყვეტილებას და საქმეს ჰყავს დაზარალებული, საქმეში ერთვება მედიატორი, რომელიც არის ნეიტრალური პირი. მედიატორის მიზანია დაზარალებულსა და დანაშაულის ჩამდენ განსარიდებელს შორის მოლაპარაკების წარმოება, შერიგებაში დახმარება და ზიანის ანაზღაურების ფორმაზე შეთანხმება. მედიატორი დაზარალებულსა და განსარიდებელს აწვდის დეტალურ ინფორმაციას მედიაციის არსის, პროცედურების შესახებ და უხსნის მათ მედიაციის მნიშვნელობას.

დაზარალებულის თანხმობის შემთხვევაში, მოლაპარაკების პროცესის დასრულების შემდეგ მედიატორი მართავს შეხვედრას (ე.წ. მედიაციის კონფერენციას) რა დროსაც დაზარალებული და განსარიდებელი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. ყველა მხარესთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ: განსარიდებელი, მისი კანონიერი წარმომადგენელი (18 წლის ასაკს მიუღწეველი პირის განრიდების შემთხვევაში), მედიატორი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების შესაბამისად, განრიდების ღონისძიებასთან ერთად 21 წელს მიუღწეველი პირს მიეწოდება მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება დაზარალებულის ან/და საზოგადოების წინაშე მოვალეობები, რომელთა შემუშავებაში მედიატორიც იღებს მონაწილეობას. განრიდებულს დაეხმარებიან სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები.

იმ შემთხვევაში, თუ საქმეს არ ჰყავს დაზარალებული, ან დაზარალებული წინააღმდეგია მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე, აღნიშნული არ აბრკოლებს განრიდების პროცესს და პროკურორი უფლებამოსილია გააფორმოს 21 წელს მიუღწეველი პირთან ხელშეკრულება განრიდების შესახებ. ამასთან, დაზარალებულს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ჩაერთოს მედიაციის პროცესში. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, 21 წელს მიუღწეველი პირის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ განრიდებულმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი განრიდებულის საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა მის მიმართ. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ კარგად უნდა დააფიქროს განრიდებული და უზრუნველყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

2014 წლის ნოემბრამდე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართვა შესაძლებელი იყო იმ შემთხვევაში თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული წარმოადგენდა ნაკლებად მძიმე დანაშაულს. 2014 წლის 11 ნოემბრიდან პროგრამა გავრცელდა მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. აღნიშნული ცვლილებებით შეიცვალა და დაიხვეწა 2010 წლიდან პროგრამის პრაქტიკაში გამოყენებისას გამოვლენილი ხარვეზები და სხვადასხვა პროცედურული საკითხებიც. მათ შორის, დაწესდა პროგრამაში მომუშავე პროფესიონალთათვის სამუშაო ვადები. ასევე, თუ წინათ მედიაციის შესახებ დაზარალებულს ინფორმაციას პროკურორი აწვდიდა და მხოლოდ დაზარალებულის მედიაციის პროცესში მონაწილეობაზე თანხმობის შემთხვევაში ერთვებოდა მედიატორი, დღეისათვის იგი პროცესში პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე ერთვება, რაც ზრდის მედიაციით დასრულებული საქმეების რაოდენობას. შესაბამისად, ამცირებს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად დაზარალებულსა და განრიდებულს შორის წარმოშობილი კონფლიქტების რაოდენობას და ზრდის, კმაყოფილ დაზარალებულთა რიცხვს.

2016 წლის 1-ლი იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. კოდექსის მიხედვით, განრიდება გახდა პრიორიტეტული და კრიტერიუმების არსებობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია პირველ რიგში, განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრი სისხლისსამართლებრივ დევნაზე. განრიდება გავრცელდა 14-18 წლის

არასრულწლოვნების გარდა, 18-დან 21 წლამდე პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე მიენიჭა სასამართლოსაც. კერძოდ, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით, ან/და საკუთარი ინიციატივით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით. მნიშვნელოვანი ცვლილება აგრეთვე არის ის, რომ მედიატორის როლი კიდევ უფრო გაიზარდა. კოდექსის მიხედვით, პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება მედიაციის კონფერენციაზე სავალდებულო აღარაა.

2017 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები

სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრსა“ და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაციის ხელშეწყობა განრიდების პროგრამების გაძლიერების გზით“ ფარგლებში, 2017 წელს გაიმართა 6 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული უწყებების თანამშრომელთათვის და დამატებით გაიმართა 1 სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი მხოლოდ მოსამართლეთა მონაწილეობით. პროექტის მიზნებს წარმოადგენს არასრულწლოვანთა განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ პროფესიონალებს შესაძლებლობების გაძლიერება და განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისათვის მათი სათანადო მომზადება, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალების საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერება ადგილობრივ დონეზე, პრაქტიკაში არსებული სირთულეებისა და გამოწვევების კვლევა და მათი გადაჭრის ხელშეწყობა სხვადასხვა მხარდამჭერი აქტივობების განხორციელების გზით. ასევე საქართველოს მთავარ პროკურატურასთან ურთიერთთანამშრომლობით, 18-დან 21 წლამდე პირებთან მომუშავე არასპეციალიზებული პროკურორების გადამზადება განრიდების პროგრამების სპეციფიკურ საკითხებში წარმოადგენდა პროექტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ აქტივობას. აღნიშნული პროექტის შედეგად გადამზადდა 300-მდე განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამასთან შემხებლობაში მყოფი სპეციალისტი(პროკურორი, სოციალური მუშაკი, მედიატორი და მოსამართლე).

ჩატარებული ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს დამატებითი ცოდნა ადდგენითი მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებში და მიზნებში, სიღრმისეულად შეისწავლეს ადდგენითი მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტები, საერთაშორისო რეგულაციები და პრაქტიკა ინდივიდუალურ მიდგომასთან დაკავშირებით, განრიდების/განრიდებისა და მედიაციის პროგრამების განახლებული პროცედურები. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ დეტალური ინფორმაცია განრიდებისა და მედიაციის პროგრამის განხორციელებაში ჩართული თითოეული უწყების საქმიანობის სპეციფიკისა და პროცედურული ნაწილის თაობაზე. მაქსიმალური ყურადღება დაეთმო გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და მის დასაბუთებას. მონაწილეებმა მიიღეს სიღრმისეულ ცოდნა განრიდების ახალ ღონისძიებებთან დაკავშირებით, გაეცნენ მათი გამოყენების პრინციპებს. ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ხელშეკრულების ხანგრძლივობის, პირობების და ვალდებულებების შერჩევისა და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესს. შეხვედრებში მონაწილე მოსამართლეებმა, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, პრაქტიკოსი პროფესიონალებისგან დეტალურად მიიღეს ინფორმაცია განრიდების პროგრამების მიმდინარეობის პროცესის შესახებ და რა პრაქტიკული სირთულეებს ხვდებიან ხოლმე ისინი.

„მედიასაშუალებების წარმომადგენელთა ცოდნის ამაღლება განრიდების პროგრამებზე“, საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში, რომელიც განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით, ასევე განახორციელა 1 სამუშაო

შეხვედრა/ტრენინგი 16-მდე მედიასაშუალებების 20 წარმომადგენელთან. პროექტი მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების, პროგრამის არსის, მიზნებისა და პრინციპების, ასევე ზოგადად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების და რეფორმის შესახებ მედიასაშუალებების წარმომადგენელთა ცოდნის ამაღლებას.

2017 წლის ნოემბერში საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ჩატარდა „აღდგენითი მართლმსაჯულების დღეები“, რის ფარგლებშიც, საქართველოს ლუვენის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საერთაშორისო ექსპერტი ბელგიიდან ბატონი ივო ერცენი ესტუმრა.

აღდგენითი მართლმსაჯულების დღეების ფარგლებში გაიმართა შეხვედრა მედიაციის სახლში, რა დროსაც სტუმრებმა მედიაციის სახლი დაათვალიერეს, ასევე, გაეცნენ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის შედეგებსა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით საქართველოს გამოცდილებას. ცენტრის წარმომადგენლებმა სტუმრებს გააცნეს მათი ხედვა პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებით და მოისმინეს ივო ერცენის რეკომენდაციები. საუბარი ასევე შეეხო განრიდების პროგრამების ფარგლებში განმეორებითი დანაშაულის დათვლის მეთოდოლოგიას, ამ მიმართულებით კვლევის ევროპულ გამოცდილებას, განრიდების და სისხლის სამართლის მედიაციის პროგრამების მონიტორინგის მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად იწყებს მუშაობას განრიდების პროგრამების მონიტორინგის არსებული მექანიზმის რეფორმირებისა და უფრო ეფექტიანი მექანიზმის შემუშავებაზე.

აღდგენითი მართლმსაჯულების დღეების ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, სადაც დისკუსია გაიმართა აღდგენითი მართლმსაჯულების მიდგომების შედეგებზე საქართველოში და შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე ზვიად მიხანაშვილი, სსიპ "დანაშაულის პრევენციის ცენტრის" დირექტორი თათია ხოჭოლავა, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე, გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე, ევროკავშირის სასამართლო მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი რენატე ვინტერი და ლუვენის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ივო ერცენი, რომელიც წამყვანი ევროპელი მკვლევარია აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხებში. კონფერენცია საქართველოს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანიზებით და ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტისა და გაერო-ს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით გაიმართა.

აღდგენითი მართლმსაჯულების დღეების ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრა „აღდგენითი მართლმსაჯულებისა და სისხლის სამართლის მედიაციის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“. სამუშაო შეხვედრაში მედიატორები, სასამართლოსა და პროკურატურის წარმომადგენლები, ასევე გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე, ევროკავშირის სასამართლო მხარდაჭერის პროექტის ხელმძღვანელი რენატე ვინტერი და ლუვენის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ივო ერცენი მონაწილეობდნენ.

პროგრამების შედეგები (სტატისტიკური მონაცემები)


2017 წლის განმავლობაში განრიდებულ იქნა 910 პირი, აქედან 475 არასრულწლოვანი (14-დან 18 წლამდე) და 435 სრულწლოვანი (18-დან 21 წლამდე). 334 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 267 მედიაციის საერთო შეხვედრა.

2010 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, საერთო ჯამში, განრიდებულ იქნა 2733 21 წელს მიულწეველი პირი.


2017 წლის განმავლობაში, განრიდების პროგრამებთან დაკავშირებული დეტალური სტატისტიკური მონაცემები:

წლებისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით


■ 14-დან 18 წლამდე ■ 18-დან 21 წლამდე



სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით 2017 წელს




სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით 2017 წელს




სტატისტიკური მონაცემები სქესისა და ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით 2017 წელს

■ 14-დან 18 წლამდე ■ 18-დან 21 წლამდე




სტატისტიკური მონაცემები დანაშაულთა და ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით 2017 წელს

■ 14-დან 18 წლამდე ■ 18-დან 21 წლამდე




სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის კატეგორიისა და დანაშაულის ჩადენის დროს ასაკის მიხედვით 2017 წელს

■ მძიმე დანაშაული ■ ნაკლებად მძიმე დანაშაული




სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით 2017 წელს


■ 18-დან 21 წლამდე ■ 14-დან 18 წლამდე




წარმატებით დასრულებული მედიაციის საქმეები



წარმატებით დასრულებული მედიაციის კონფერენციები წლების მიხედვით 14 დან 21 წლის ასაკამდე პირებს შორის




წარუმატებელ მედიაციასთან დაკავშირებული მაჩვენებელი 2017 წელს




- დაზარალებული არ არსებობდა
- მედიაციაზე უარი განაცხადა მედიატორმა
- მედიაციაზე უარი განაცხადა დაზარალებულმა
- სხვა

მედიაციის მაჩვენებელი არასრულწლოვნებს შორის იმ საქმეებში, სადაც დაზარალებული არსებობდა




მედიაციის პროცენტული მაჩვენებელი 21 წლის ასაკს მიუღწეველ სრულწლოვნებს შორის იმ საქმეებში, სადაც დაზარალებული არსებობდა



დაზარალებულთა მონაცემები 2017 წელს

■ 14-დან 18 წლამდე განრიდებული ■ 18-დან 21 წლამდე განრიდებული




იურიდიული პირი

ფიზიკური პირი


დაზარალებულის გარეშე

2017 წლის მონაცემები რაიონული და საოლქო პროკურატურების მიხედვით 14-დან 21 წლამდე პირებს შორის




არასრულწლოვანთა (14-18 წლის) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის
დაწყებისა და განრიდების მაჩვენებელი

■ დევნის დაწყება ■ განრიდება



განმეორებითი დანაშაული 2010 - 2016 წლების მაჩვენებელი



- წარმატებით დასრულდა
- განმეორებითი დანაშაული

სულ 2010 – 2016 წლებში განრიდების პროგრამაში ჩაერთო 1500 არასრულწლოვანი. განმეორებით დანაშაული ჩიდინა 134-მა არასრულწლოვანმა. (9%)

ხელშეკრულების ვადის ამოწრუვიდან:

პირველ წელს განმეორებითი დანაშაული - 85 (5.6%)

მეორე წელს განმეორებით დანაშაული - 34 (2.3%)

მესამე წელს განმეორებით დანაშაული - 15 (1%)

განრიდებულ პირთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები

სერვისები და ვალდებულებები

განათლება

- დაწეროს ესსე, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით (მაგ.: სამართალდარღვევა და მისი შედეგი, ოჯახური ძალადობის გამომწვევი მიზეზები და თავიდან აცილების გზები და სხვა.);
- აღიდგინოს მოსწავლის სტატუსი სკოლაში და გააგრძელოს სწავლა;
- გააუმჯობესოს სკოლაში აკადემიური მოსწრება, აკონტროლოს საკუთარი ქმედება და დაიცვას კანონი;
- წაიკითხოს სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სხვადასხვა წიგნი, მაგ.: „ჩემი უფლებები და მოვალეობები“, „სამართლის ქალაქი“, და სხვა მხატვრული ან სხვა ჟანრის ლიტერატურა;
- მოიძიოს ინფორმაცია საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების შესახებ და გააკეთოს ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგებისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ ანალიზი, საჭიროებისამებრ, სოც. მუშაკის დახმარებით;
- სწავლა განაგრძოს კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე;
- ქართულ ენაზე წერა-კითხვის გაუმჯობესების მიზნით შეასრულოს პრობაციის ოფიცრის/სოც.მუშაკის მიერ შერჩეული სხვადასხვა დავალება;
- ჩაერთოს ლიდერთა სახლის აქტივობებში;
- დაესწროს ქართული ენის გაკვეთილებს;
- გაიაროს სწავლება „ტექნო პარკის“ პროგრამირების კურსზე;
- მიიღოს მონაწილეობა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის - „ტოლერანტობის სამოქალაქო ცნობიერებისა და ინტეგრაციის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებულ ღონისძიებებში, ტრენინგებსა და სემინარებში
- სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს კანონმდებლობიდან წაიკითხოს პრობაციის ოფიცრის მიერ შერჩეული კანონი/მუხლები;

- მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრებ ალსაზრდელებს წარუდგინოს პრეზენტაცია თემაზე: „განათლების მიღების შესაძლებლობა და მისი დადებითი მხარეები“;
- გაიაროს არასამთავრობო ორგანიზაცია მიერ ჩატარებული პროფესიული გადამზადების კურსი;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ადამიანის უფლებები“;
- მოამზადოს პრეზენტაცია თემაზე „საგზაო მოძრაობის წესების მნიშვნელობა“;
- ჩაერთოს პროექტის „skye club“ ღონისძიებათა ციკლში;
- ჩაერთოს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში “ელექტრონული წიგნის ანთოლოგია“;

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია

- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „კომუნიკაცია“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „პოზიტიური აზროვნება“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ბრაზის მართვა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „თვითშეფასება, ახალი შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ ასერტიული ქცევა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „დანაშაულის გაცნობიერება“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული ფასეულობები“;
- ჩაერთოს სარეაბილიტაციო პროგრამაში „მომავლის დაგეგმვა“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „გემბლინგი-აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება“
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში „ცხოვრებისეული რისკები და საჭიროებები“;
- ჩაერთოს ტრენინგ-კურსში “ჯანსაღი ცხოვრების წესი” თამბაქოს მოხმარების შეწყვეტის მიზნით;
- გაიაროს ინდივიდუალური კონსულტაციები ფსიქოლოგთან შესაბამისი საჭიროების მიხედვით. მათ შორის, სტრესული გამოცდილების დაძლევის, თამაშდამოკიდებულების დაძლევის და სხვა მიზნით;
- მოიძიოს ინფორმაცია ალკოჰოლის მავნე ზეგავლენის თაობაზე და წარუდგინოს პრობაციის ოფიცერს /სოციალურ მუშაკს;
- გაიაროს ფსიქო-თერაპიის კურსები;
- ჩაერთოს სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ აქტივობებში;

- ჩაერთოს პროგრამაში/პროგრამებში, რომელიც მიმართული იქნება ადიქციური ქცევის პრევენციაზე;
- მიიღოს ფსიქოლოგის/ფსიქიატრის მომსახურება დესტრუქციული ქცევების შემცირების მიზნით;
- გაიაროს კონსულტაციები სოციალურ მუშაკთან დანაშაულის უკეთ გააზრების მიზნით;
- გაიაროს კონსულტაციები სოციალურ მუშაკთან ალკოჰოლის არამართლზომიერად მოხმარების თავიდან აცილების მიზნით;
- გაიაროს კონსულტაციები სოციალურ მუშაკთან აზარტული თამაშების მავნე ზეგავლენის გაცნობიერების მიზნით;
- გაიაროს კონსულტაციები სოციალურ მუშაკთან ნერვული პრობლემების სამედიცინო გზით მოგვარების აუცილებლობის გაცნობიერების მიზნით;
- ჩაერთოს ანტი-სოციალური ქცევის პრევენციის მიზნით არასამთავრობო ორგანიზაცი(ებ)ის მიერ შემოთავაზებულ სარეაბილიტაციო პროგრამაში;
- მშობელთან ერთად ჩაერთოს მშობელთა სკოლის პროექტში;
- გაეცნოს მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებულ ქართულ კანონმდებლობას;
- დაესწროს ოჯახში ძალადობის, ძალადობის მსხვერპლთა სტატუსის შესახებ შესაბამის საინფორმაციო შეხვედრას;

შეზღუდვები და სხვა ვალდებულებები

- შინიდან გასვლის შეზღუდვა დღის განსაზღვრულ მონაკვეთში (ძირითადად, ღამის საათებში) და შესაბამისი გამონაკლისით;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შეზღუდვა მასთან მომუშავე პროფესიონალების ინფორმირების გარეშე;
- ქალაქიდან გასვლის შეზღუდვა პროკურორისა და სოც. მუშაკის ნებართვის გარეშე;
- სასკოლო სასწავლო პროცესის ფარგლებში გაკვეთილებზე დროულად გამოცხადებისა და გაცდენის შეზღუდვა;
- თავი აარიდოს აზარტულ სათამშო კლუბებში შესვლას, ასევე არ დაამყაროს ურთიერთობა იმ პირებთან, ვინც შეიძლება შეუწყოს ხელი მის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას;
- მოერიდოს თავისუფალ დროს, თავმყერის ადგილებში ყოფნას და არ მიიღოს ალკოჰოლი.
- წერილობითი სახით წარმოადგინოს ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით მისი დამოკიდებულება;
- მოიძიოს ინფორმაცია დაზარალებული იურიდიული პირის საქმიანობის სპეციფიკის, მისი დაარსებისა და საქმიანობის სფეროს შესახებ;
- ჩაერთოს პროკურატურის პროექტის „საზოგადოებრივი პროკურატურა“, ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში;

დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები

- დაზარალებულს დაეხმაროს მალაზიის დალაგებაში;
- დაეხმაროს დაზარალებულს კაფეში სხვადასხვა საქმიანობაში;
- დაეხმაროს დაზარალებულს დაზიანებული ნივთის შეკეთებასა და მოვლაში;
- დაზარალებულს აუნაზღაუროს მიყენებული მატერიალური ზიანი;
- ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს.
- მიწეროს წერილი დაზარალებულს, სადაც მოუყვება საკუთარი თავის, თავისი ქმედების შესახებ. მათ შორის, როგორ უყურებს თავის ქმედებას და რას ფიქრობს დაზარალებულზე;
- განახორციელოს დაზარალებულისთვის სასარგებლო აქტივობები;

სპორტი და ხელოვნება

- ჩაერთოს სპორტულ აქტივობებში;
- იაროს სპორტის უფასო წრეზე;
- დაკავდეს ხეზე კვეთით და წარმოადგინოს ხისგან დამზადებული ნაკეთობა.

საზოგადოებისთვის სასარგებლო აქტივობები

- დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას სოციალურად დაუცველი მოხუცების კვებით უზრუნველყოფის პროცესში;
- თანატოლებთან ერთად, თვეში ერთხელ, მოაწყოს დასუფთავების აქცია;
- დაეხმაროს ბავშვთა დღის ცენტრის ადმინისტრაციას, ასევე -ბენეფიციარებს;
- განახორციელოს მოხალისეობრივი საქმიანობა ხანდაზმულთა დღის ცენტრში;
- მიიღოს მონაწილეობა სახლმუზეუმის დასუფთავების აქტივობაში;
- სალოცავის მომსახურე პერსონალს დაეხმაროს სხვადასხვა საქმიანობაში;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებისათვის მოამზადოს პრეზენტაცია თემაზე „დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ“;

- მიიღოს მონაწილეობა ბიბლიოთეკის კარტოთეკის დალაგების პროცესში;
- დაეხმაროს სოფელში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცს საოჯახო და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის ჩაატაროს მუსიკის ან ხატვის გაკვეთილები;
- იაროს სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრში და დაეხმაროს ბავშვებს, წაუკითხოს მათ ზღაპრები და მოთხრობები;
- სოფლის ტერიტორიაზე დარგოს რამდენიმე ძირი ხე;
- კეთილმოწყობის სამსახურის პერსონალს დაეხმაროს ქალაქის გამწვანების საქმიანობაში;
- მიუსაფართა სასადილოდან მიუტანოს კუთვნილი ულუფა მოხუცებს;
- დაეხმაროს შშმ პირებს სხვადასხვა საქმიანობაში;
- მოაწყოს საკუთარი ნახატი ნიმუშების გამოფენა მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელთათვის;
- მოამზადოს პრეზენტაცია თემაზე „ალკოჰოლი და მისი მოხამარების სოციალურ-სამართლებრივი შედეგები“ და გამართოს მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა ცენტრის ფენეფიციარებისათვის;
- ქორეოგრაფიული ანსამბლის მასწავლებელს დაეხმაროს საქმიანობის პროცესში როგორც დამხმარე;
- დაეხმაროს ოჯახს სამეურნეო საქმიანობაში;
- ჩაერთოს კრივის დარბაზის საქმიანობაში, როგორც ტრენერის დამხმარე და მიიღოს მონაწილეობა დარბაზის დასუფთავების პროცესში;
- დაეხმაროს რამდენიმე პირს ინგილისური ენის ცოდნის გაუმჯობესებაში;
- დაეხმაროს საბავშვო ბაღის პერსონალს სხვადასხვა აქტივობებში;
- არასამთავრობო ორგანიზაციის ბენეფიციარებს დაეხმაროს ხატვისა და ძერწვის უნარების დაუფლება-გაუმჯობესების პროცესში;
- დაეხმაროს მეზობელს სამეურნეო და საოჯახო საქმეებში;
- დაეხმაროს დღის ცენტრის ბენეფიციარებს და ადმინისტრაციას კლიპის დამზადების პროცესში;
- ფოტოსესიის მოწყობის მიზნით ეწვიოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დღის ცენტრს;
- დაეხმაროს სოფლის ადმინისტრაციას სამეურნეო საკითხებში;
- მოაწყოს პოეზიის საღამო მოხუცთა დღის ცენტრში;
- დაასუფთავოს სკოლის მიმდებარე ტერიტორია;
- რამდენიმე პირს დაეხმაროს იტალიური ენის ცოდნის დონის გაუმჯობესებაში;
- ერთ-ერთი შპს-ის სამშენებლო და პროფილაქტიკურ ბრიგადას დაეხმაროს სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების შესრულებაში;
- ჩაერთოს ფოსტის რეგინალურ ოფისის სამსახურეობრივ საქმიანობაში;

- ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში და დაეხმაროს საქველმოქმედო ორგანიზაციას;
- ჩაერთოს დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ ორგანიზებულ პროექტში „ორი თაობა“



განრიდება



საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო



დანაშაულის
პრევენციის
ცენტრი



საქართველოს
მთავარი
პროკურატურა



პრობაციის
ერთვნილი
სააგენტო